1941.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

1941
№ 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოქტომბრელი

საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

წელიწადი მეთოთხმეტე

მარტი № 3

1941 წ.

გამოცემა „საბლიტგამის“

რედაქ. მისამართი: თბილისი, ჟორესის ქ. № 5

საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის ერთთვიური ორგანო
„ОКТОМБРЕЦ“ ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

შინაარსი

		გვ.
1.	გალაკტიონ ტაბიძე — გაზაფხული (ლექსი)	1
2.	ნინო ნაკაშიძე — მაკოს შუშა (მოთხრობა)	2
3.	ილია სიხარულიძე — ჩიტბატონა (ლექსი)	3
4.	ცქვიტი — მთვლემარე ბები (მოთხრობა)	4
5.	გიორგი ჭუჩიშვილი — საპატიო სტუმარი (ლექსი)	5
6.	კალე გოგოხიძე — ჩვენი გაზაფხული (ლექსი)	6
7.	შალვა თაბუკაშვილი — ვოლგაზე (მოთხრობა)	7
8.	მ. სკრიპკინი — გაკვეთილი (ლექსი) თარგმანი ი. გრიშაშვილისა	8
9.	ლავრენტი ჭიჭინაძე — ქუცნა და ხატაურა (მოთხრობა), ლექსები ან. თევზაძისა	10
10.	ლევ. ტოლსტოი — კურკა (მოთხრობა)	12
11.	დავით შამათავა — ცანცალა და ხტუნია (ზღაპარი)	13
12.	ვანო მათიაშვილი — თედოს ნატვრა (ლექსი)	14
13.	გ. ლეჟავა — ჯილდო (მოთხრობა)	15
14.	კარლო არველაძე — ლილის კბილი (ლექსი)	16
15.	ძველი ფურცლებიდან: 1. მელა და არწივი, 2. საძაგელი მაგიდა, 3. შარადა	გარეკანის მე-3-გვ.
16.	რეზო თაბუკაშვილი — საგაზაფხულო (ლექსი)	გარეკანის მე-4-გვ.

ჟურნალის მხატვრობა ვ. ასკურავასი
გარეკანის მხატვრობა შ. ბერიტაშვილისა

პასუხისმგებელი რედაქტორი — ლ. ა. ჭიჭინაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IV 1941 წ.
სასტამბო ნიშანთა რაოდენობა ერთ საბეჭდ ფურცელში 27648

ქაღალდის ზომა 62x94
საბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2,5
УЕ12774 შეკვ. (Заказ) 945 ტირაჟი (Тираж) 13000

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული

გალაკტიონ ტაბიძე

მთებს გახედე, რატი!
გაზაფხული მიწას
როგორც ანდამატი
სივრცისაკენ იწვევს!

აი, მთაზე დნება
ლანდი ნისლის ტოტის,
კვლავ იღვიძებს ნება:
გაზაფხული მოდის!

აბიბინდი, მდელოვ!
ახმაურდი, კორდო!
დედამიწა მთელი
ყვავილებმა მორთო!

მოქრის ქარი მთების
და ბაღების უბეს—
აფრქვევს ყვავილების
სურნელოვან ღრუბლებს.

გიყვარს ველად გავლა
და მწვერვალზეც ადი:
თავდადებით სწავლაც
მწვერვალია, რატი!

იგიც მერმისს იწვევს
და მზით აკაშკაშებს
თავისუფალ მიწის
თავისუფალ ბავშვებს.

3794

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაკოს შუშა

ნინო ნაკაშიძე

ბაკომ უცაბედად ფანჯრის შუშა გატეხა. ძალიან ეწყინა დედას. ცივა და შუშის მაგიერ ქაღალდი უნდა დააწებოს, ან ფიცარი მიაკრას, მაგრამ ხომ დაბნელდა ოთახში.

— მერმე კიდევ ასეთი საშინელი ყინვები მაინც არ იყოს, — ამბობს დედა, — პირდაპირ გავიყინებით, ქალაქი შორს არის, მაღაზიაც აქ ახლოს არსად არის და ადვილი საშოვარი როდია შუშა. მაკოც ძალიან წუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა. ნელა ჩამოცოცდა ფანჯრიდან, ჩაიცვა თბილი პალტო და გავიდა ეზოში.

უჰ, რა ცივა! მაკოს არც კი ახსოვდა ამისთანა სიცივე, მოჰკიდა თავზე ხელი თავის დიდ ძაღლს ბროლიას და

გასწიეს ეზოს ბოლოსაკენ. უცებ მაკო გაჩერდა გახარებული: შუშა დაინახა. მას კარგად ახსოვდა, რომ უწინ აქ წყალი იყო დაგუბებული და ახლა წყლის მაგიერ კრიალა, მშვენიერი, გლუვი შუშა დაუდვია ვილაცას. მაკო დაიხარა, მოსტეხა შუშას ერთი კიდე და გამოიქცა შინისაკენ. ძაღლიც, რასაკვირველია, მოსდევდა კუდის ქნევით.

— დედა, დედიკო! — ყვიროდა ის გახარებული, — შუშა ვიპოვე, გავაკეთოთ ფანჯარაში, ოთახი აღარ დაბნელდება! —

დედამ გაუღო კარი მაკოს და გაიცინა.

— დედიკო, წამოდი, იქ დიდი შუშაა, წამოიღე, მე ვერ ავიღე. აი ეს პატარა მოვტეხე და მოვიტანე საჩვენებლად.

— მერე, რა მოუვიდა შენ შუშას, რამ დაასველა ასე? — ჰკითხა დედამ.

— რასაკვირველია, დასველდებოდა, დედიკო, წყალზე იყო, აი იქ, ბატები რომ ბანაობდნენ, გაშრობა უნდა.

მაკომ გაწმინდა ჩვრით, მაგრამ შუშა უფრო და უფრო სველდებოდა.

— აი, ეხლავე ცეცხლზე გავაშრობ და ნახავ, რა კარგი შუშაა! მაკომ მიირბინა ბუხართან, ცეცხლის პირას მოაჯირზე მიაყუდა შუშა და პალტო გაიხადა, მაგრამ საოცარი ამბავი მოხდა. სანამ პალტოს გაიხდიდა, შუშა გაქრა და მის მაგივრად სველი ნაცარი გაჩნდა.

მაკომ გაკვირვებით შეხედა დედას.

— შენი შუშა ყინული იყო, მაკო, სითბოში დადნა და წყლად იქცა, — უთხრა დედამ მაკოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ილია სიხარულიძე

ჩიტბატონა ვინ დამარქვა?
ჩიტბატონა რად მიწოდეს?!
ჩვენი გვარის ბატონობა
არ ნახულა არასოდეს!

ვენაცვალე ზოგიერთებს,
„ჩიტმორთულას“ მეძახიან;
სულ ეოველგან ვიმეოფები,
ხადაც ბუჩქი სადაც ხეა;

მე ჰატარა ჩიტუნებში
თურმე უფრო ლამაზი ვარ,
მხიარულად დაგჭიკჭიკებ,
ხის წვერზე როცა ვზიგარ;

მწერებს, მატლებს შევექცევი,
ხან ავკენკავ ნარის მარცვალს,
თორემ ჩვენგან ვის სმენია
ვინმეს ჩაგვრა, ვინმეს მარცვა?

და რომ მერქვას „ჩიტბატონა“,
საწყენია, დასაძრახი,
„ჩიტმორთულა“ დამიძახეთ,
„ჩიტბატონას“ ნუ მეძახით!

მთვლემარე ბებერი

ცქვიტი

ბუხარში ცეცხლი მხიარულად ღუღღუღებდა. გვერდით მიდგმული ლობიოს ქოთანი თავს იკლავდა დუღილით. ბუხრის შორიახლო ბებერს ფარდაგი გაეშალა, მატყლი დიდი ტომრით მოედო და სიბერისაგან დაკვლანჭულ ხელებს ისე მარდად ამოძრავებდა, თვალს ვერ მოჰკრავდა ადამიანი. ცეცხლის რგოლები ბებრის შავ კაბაზე, მის სახესა და გაწეწილ მატყლზე დაუდეგრად თამაშობდნენ.

ქოთნის დუღილი და ცეცხლის სითბო ბებერს რაღაც ტკბილ გრძნობას უღვიძებდნენ. იჯდა არხეინად და თავის წარსულზე ფიქრობდა.

სად იყო, სად არა, უცებ კნუტები მოცვივდნენ. ორნი იყვნენ, მეტად ცელქები და მოუსვენრები. ბებერს ხომ პირდაპირ

იკლებდნენ. მთელი დღე ჩხუბი და დავიდარაბა იყო კნუტებსა და ბებერს შორის.

ისინი აქამდის ვაშლის კალათაში ისხდნენ და მალაყს გადადიოდნენ. მაგრამ რა წამსვე ბებიას ხელის მოძრაობას მოჰკრეს თვალი, კალათიდან სწრაფად ამოცვივდნენ, ბებერს მიუხტნენ, კლანჭი გაჰკრეს და გაეთამაშნენ.

ბებერმა იცოდა, რომ ონავარი კნუტები მას თავის ქერქში არ დააყენებდნენ და კაი წკეპლა ჰქონდა მომზადებული. ერთი კნუტი გაქანდა, მარჯვენა სახელოზე გორგალივით ჩამოეკიდა. სანამ იმას მოიშორებდა, ახლა მეორე კნუტმა იხელთა და შერხეულ თავშლის წვერზე ჩამოეკონწიალა.

— აი თქვე საძაგლებო, განა ახლა თქვენთვის მცალია, რომ საქმეზედაც არ მაყენებთ? აი თქვენა, აი!

გაჯავრდა ბებერი და წკეპლა დაუშინა. კნუტები გაფრთხნენ. ჭრელი კნუტი გაწეწილ მატყლში გადახტა და ვეებერთელა კუმში მატყლისა თან გაიყოლა.

— ოი, თქვენ მოისპეთ, თქვენა! — დაფორიაქდა ბებერი, კრუსუნით ძლივს წამოდგა, კარი გააღო და წკეპლამოღერებულმა კნუტებს კარში გარეკა დაუპირა. კნუტები მიხვდნენ ბებრის განზრახვას და სანამ ბებერი მოტრიალდებოდა, ტანისამოსის კარადაზე წამოსკუპდნენ.

— მიაუ, მიაუ! — არხეინად გადმოჰკნავლეს ზევიდან კნუტებმა, თითქოს დას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციონდნენ: — თუ ქალი ხარ, აბა ახლა აქ მოგვწვდიო! ბებერმა ბევრი აფხაკუნა, მაგრამ რაკი ვერაფერს გახდა და სახლიც ტყუილად გააცივა, კარი ისევ მიხურა და თავის ადგილზე მუქარით მოიკეცა.

— თქვენ სახელს გავწყვეტ, ერთი კიდევ მოშავდით აქა! ამ წკეპლას ზედ დაგამტვრევთ, თქვე ეშმაკებო, თქვენა!

ბებერმა რომ მატყლის წეწა დაიწყო, ამ დროს მაგიდაზე მდგარი რადიო ამეტყველდა. კნუტები შეიშმუშნენ და ვიღაც მომღერალმა ტკბილი სიმღერა რომ შემოსძახა. კნუტები კარადის თავზე წყვილად წამოსკუპდნენ, პირები დააღეს და ისეთ კნავილს მოჰყვნენ, თითქოს სიმღერას აჰყვნენო. ბებერმა ახედა და სიცილი აუტყდა.

— ვაი თქვენა და თქვენს ქიას! — იღიმებოდა ბებერი და ხელებს უფრო მარდად ამოძრავებდა. დიდხანს მღეროდა რადიო და ამ ხნის განმავლობაში არც ციცუნებს მოუცვლიათ კარადიდან ფეხი.

ცეცხლის სითბომ და რადიოს სიმღერამ ბებერს ძილი მოჰგვარა. ბარემ ბევრს იბრძოდა ბებერი, რომ ძილი როგორმე გაეფანტა, მაგრამ თავის თავს ვერ აჯობა. როგორც ქარისაგან შერხეული ასკილი, თავს ისე ქინდრავდა, ხელებიც უჩერდებოდა და იყო ერთ ამბავში. ციცუნებსაც სწორედ ეს უნდოდათ: ბებრის ქანაობას მოჰკრეს თვალი თუ არა, იმ წამსვე ძირს ჩამოცვივდნენ. ამ დროს ნაპერწკალი გამოვარდა ბუხრიდან და მატყლისაკენ გაქანდა.

მატყლმა შიშხინი დაიწყო და დაკლაკნილი ბოლი ჭერისაკენ წავიდა. ციცუნები ამ დროს რადიოს სადენს ეთამაშებოდნენ. სახლში რომ ბოლი დატრიალდა და საშინელი ტრუსის სუნი ავარდა, ერთ-ერთი ციცუნა გადახტა, აბოლებული მატყლისშორიახლო დასკუპდა და კისერმობრეცილმა ბოლის კლაკვნას გაკვირვებული თვალები ააყოლა.

ბებერს ტკბილად სძინავს და რალაც კარგ სიზმარს ხედავს. თანაც თავს აკანტურებს. ცეცხლი კი ფარდაგის გრძელ ფოჩებს მოედო. ერთ ადგილას ჩანაცრდა, თოვლივით ჩადნა და წინ მიიწევს.

ფისომ ბოლს თვალი აარიდა და ახლა ბებრისაკენ გაიხედა. ბებერს თავი გულზე ჩამოეკიდა და მომწიფებულ ნაყოფივით ქანაობდა. ფისო შეტოკდა, თათი მოიმარჯვა და შერხეულ თავშლის წვერს გამოსროლილ ქვასავით ეძგერა.

ბებერი შეხტა და თვალები გააჭყიტა.

— ვაი, დაბრმავდი, ჩემო თვალებო, ეს რა ამბავია ჩემს თავს?! — წამოიყვირა ბებერმა და წამოვარდა.

მაგრამ ბებერი არ დაბნეულა, აბურბურებულ მატყლზე ჭილობის ნაგლეჯი დაადგა და ფეხით შედგა.

— კიდევ კარგი, რომ კნუტები შემესწრნენ და ამათმა ბღლაძუნმა გამაღვიძა, თორემ ეს სახლკარი ისე გადაიბუგებოდა, რომ ვერაფერს გავიგებდიო. — უამბობდა გულგახეთქილი ბებერი მეზობლებს და ხელში აყვანილ კნუტებს თავზე ხელს უსვამდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საპატიო სტუმარი

გიორგი ქუჩიშვილი

ჩვენი სკოლაც ინახულა
გმირ პილოტმა პაპანინმა
და გვიამბო, როგორ ძლიეს
მათ არქტიკის მკაცრი ყინვა.

ყვავილებით შევეგებეთ,
შევსთავაზეთ უხვად ხილი
და გულთბილად გავაცილეთ
ქართულ „ვაშას“ შემახილით.

დღესაც ყველას თვალწინ გვიდგა
ღიმგაშლილი სტუმრის სახე
და ამაყობს მთელი სკოლა,
რომ ატარებს მის დიდ სახელს.

კალე ბობოხიძე

აქ ველი მწვანე
ხავერდის ფერია,
შადრევნით რწყავენ
ბუჩქსა და ხეს;
მზე უმზერს ყანებს,
ლავრენტი ბერია
გვითენებს
ბრწყინვალე დღეს!

აყვავდა მინდორი,
ბაღები ვერისა,
თბილისიც აყვავდა,
გმირს როგორც სერს,

და ატმის ყვავილი
წარმტაცი ფერისა
აცოცხლებს
გულსა და სულს!

სალამი, სალამი
სამშობლოს გაზაფხულს,
ბრწყინვალეს, დიდებულს,
მშვენიერ დღეს,
და ველებს,
მშრომელის მარჯვენით გადახნულს,
ამ ბაღებს,
ამ ბაღჩებს, დაბურულ ტყეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვოლგაზე

შაღვა თაბუკაშვილი

ბუსეთის . ველებზე ფართოდ გაშლილიყო მდინარე ვოლგა. გუგუნით მიდიოდა გემი. თვალწარმტაცი სანახავი იყო მდინარის ნაპირები, აფერადებული მინდვრები, გორაკები. მგზავრები გემბანზე გამოფენილიყვნენ, ზოგი იჯდა, ზოგი მოაჯირს დაჰყრდნობოდა და ტკბებოდა ბუნების სილამაზით. ლურჯი წყალი მოკამკამე ზეცა, ხავერდოვანი ველები, ფრინველების ნავარდი — ყოველივე ეს სიამით ავსებდა მგზავრების გულს.

პირველი და მეორე კლასის მგზავრები სუფთად გაწყობილ მაგიდებს მისხდომოდნენ და საუზმობდნენ. მათ თავს დასტრიალებდნენ ოფიციანტები.

გემის ქვედა ნაწილში ფუსფუსი იყო, მზარეულები ნაირნაირ საჭმელს ამზადებდნენ, აქ დანა-ჩანგლებს ხეხავდნენ, იქ თეფშებს წმენდდნენ. ქვაბებს ოხშივარი ასდიოდა, საჭმელების სუნი მადას აღვიძებდა.

ერთი მაღალი, გამხდარი ბიჭი ფაციფუცით წმენდდა თეფშებს, ეხმარებოდა მზარეულს, გარბოდ-გამორბოდა, რასაც კი დაასაქმებდნენ. როგორც კი იშოვიდა თავისუფალ დროს, როდესაც შენელდებოდა ოფიციანტების რბენა და დანაყრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ, მგზავრებს ლაპარაკის საღერღელი აეშლებოდათ, გამხდარი ბიჭი მიირბენდა კუთხეში, აიღებდა იქ შენახულ წიგნს და ხარბად დაუწყებდა კითხვას.

— სულ კითხულობ და კითხულობ, ჰა? — ღიმილით უთხრა ბიჭს ერთხელ მსუქანმა მზარეულმა და დაუმატა:

— იკითხე, იკითხე! შენ კაი ბიჭი ხარ, ცნობისმოყვარე, ბეჯითი. იკითხე — რა სჯობია წიგნის კითხვას: ათას რამეს გაიგებ... მაგ წიგნს რომ გაათავებ, სხვა წიგნს მოგცემ.

გამხდარმა ბიჭმა თავი ასწია, გაბრწყინებული თვალები შეანათა მზარეულს და დინჯად თქვა:

— ოჰ, ძია, რა კარგი წიგნია, რა საინტერესოა! ამას რომ გავათავებ, იმ მეორე წიგნს წავიკითხავ. რამდენი ქვეყანაა, რამდენი რამეა, მე კი, აბა, რა მინახავს! მე მინდა ყველაფერი ვნახო, ყველაფერი გავიგო...

— ნახავ, ნახავ, გაიგებ კიდეც, ყოჩაღი ბიჭი ხარ, — უთხრა კეთილმა მზარეულმა და მხარზე დაჰკრა ხელი.

★

დინჯად მიდის გემი და უკან ტოვებს ტალღების ზოლს. მზის სხივები ლივლივებს ზვირთებში. გემბანი სავსეა მგზავრებით. ერთ კუთხეში ხალხი შეჯგუფებულა, ხარბად უსმენენ გრძელწვერა გლეხს...

— ჰოდა, — ამბობს გლეხი, — გარიბალდი იტალიელი იყო, თავისუფლებისათვის იბრძოდა. მე ერთმა ნაცნობმა წამიკითხა მისი წიგნი...ის ისე იბრძოდა თურმე, რომ...

გლეხი გატაცებით უამბობდა მსმენელებს. გამხდარი ბიჭი იქ იყო. მას ჭურჭელი სულ დაერეცხა, თავისი საქმე მოეთავებინა და ახლა გემბანზე ხარბად ისმენდა გარიბალდის ამბავს, თანაც გუნებაში ფიქრობდა:

— ვაი, ერთი მაშოვნინა გარიბალდის წიგნი!

როდესაც გლეხმა დაამთავრა თხრობა და გასწორდა, მხრები შეათამაშა, გამხდარმა ბიჭმა უცებ მოიწყინა და ვედრებით უთხრა:

— ძია, კიდევ, კიდევ! კიდევ გეცოდინება რამე გარიბალდზე!

— მეტი არაფერი ვიცი, ბიძიკო. აი შენ რომ დიდი კაცი გახდები, ყველაფერი გეცოდინება, თვალებზე გეტყობა...

რა იცოდა იმ გლეხმა, თუ ეს გამხდარი ბიჭი, გემზე ჭურჭლის მრეცხავი, შემდგომ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მწერალი მაქსიმ გორკი გახდებოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაკვეთილი

მ. სკრიპკინი

არიგებდა ყურშას დათა:
— დაისწავლე უეჭველად:
თუ შენიშნო სადმე ქურდი,
არ შეშინდე, ეცი ხელად.

ჩაუარეს ბაღჩას გვერდით
დათიკომ და ძაღლმა ერთად.
დათას ხილი მოეწონა
და მსხლებს ხარბად დააცქერდა.

„სიმწიფისგან ხე იხრება,
რომ მოვწყვიტო, არ აჯობებს?!“
ბევრი აღარ უფიქრია,
ჩვენი დათა ეცა ღობეს.

მაგრამ ყურშა სწვდა შარვალში,
დაითრია დაფლეთილი...
აი როგორ დაისწავლა
ძაღლმა დათას გაკვეთილი,

თარგმანი ი. გრიშაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუცნა და ხატაურა

ლავრენტი ჭიჭინაძე

ლექსები ან. თევზაძისა

ეზოში ხატაურა ფისო და ყურპანტურა ქუცნა ერთად თამაშობდნენ. ქათმებიც ეზოში იყვნენ მოფენილი, გაფაციცებით კენკავდნენ. ერთი წითელბიბილოიანი მამალი დინჯად დაბრძანდებოდა, კარგი ყარაულივით აცეცებდა გადმოკარკლულ თვალებს.

ხატაურა ფისომ შორიდან დაინახა ეს მამლაყინწა. ფისუნია მწვანე მოლზე მუცლით გაწვა, გრძელ კუდს ზანტად აქ ნევდა, მერე ნელა წამოდგა, ნახევრად მოკეცილი ფეხებით მედიდური მამლისაკენ გაემართა. მამლაყინწამ მოულოდნელად მოჰკრა თვალი ახლოს მიცოცებულ ხატაურა ფისოს, მაგრამ ფეხს არც მაშინ აუჩქარა, ძალიან შეშინებული კი უცქეროდა ცალი თვალით. ამ დროს ისკუპა ხატაურა ფისომ. აფრთქიალდა მამლაყინწა, შიშით კინაღამ გული გაუსკდა. მეთაურის შეშინებამ ქათმები გააოცა, ყველამ წითელ ყიყლიყოს დაუწყო ცქერა, თითქოს ეკითხებოდნენ:

— რა მოხდაო?

მამლაყინწამ არაფრად ჩააგდო მათი ცნობისმოყვარეობა, მრისხანე თვალით აგრძნობინა:

— რა თქვენი საქმეა, ვინ გეკითხებათო?

ხატაურა ფისო სწორედ იმ ადგილზე იყო გაჩერებული, საიდანაც მედიდური მამლაყინწა გადახტა.

ფისო ახლა კი წელში გაიმართა და კუდიც ლამაზად აიპრიხა. ყურპანტურა ქუცნაც იქ გაჩნდა მაშინვე, ხატაურას გრძელ ულვაშებზე გაეხახუნა წელით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე ცხვირზე დაუწყო ყნოსვა, ალერსიანად უყეფდა, თავისი მხიარული „ჰამუ“, „ჰამუთი“ ფისუნიაც კი შეაქო:

ჰამუ, შეხე ამ ტრაბახას,
რომ დიდგულობს, ყველას კინწლავს,
ჰამუ, ჰამუ, ასე უნდა
მაგ მკვეხარა მამლაყინწას!

ეშმაკმა ხატაურამ ქება შეიფერა და მწვანე მოლზე მკვდარივით გაიშოტა. ქუცნამ ხან ყურზე წაულამუნა პირი, ხან ზურგზე გადააცოცდა. ბოლოს თვითონაც გადაგორდა, უცებ ისევ წამოხტა და თათი კისერზე მოუთათუნა. ხატაურა ფისო გულშეწუხებულივით კრუტუნებდა:

მიავ, მიავ, აწ ხომ მიცნობ,
მე ფისო ვარ ვეფხვის დარი,
აბა, ჩემთან რას გახდება
ის უშნო და აბეზარი!

თან თავის გრძელ კუდს ფისო ერთ ადგილზე კვლავ არ აჩერებდა. მერე ამ კუდს შეუტია ქუცნამ, გადაახტ-გადმოახტა, წაატანა პირი, მაგრად გასწია და ხავერდივით აბიბინებულ მოლზე ნავივით წაიცურა ხატაურა. ეს რომ თინიკომ დაინახა, აღრიალდა, ხელები ლოყებზე შემოიკრა:

უი, ფისო, ჩემი ფისო
მომკვდარა და მიაქვს ქუცნას,
როდის გახდა, ნეტავ, ავად,
როგორ მოკვდა ასე უცბათ?!

მაგრამ ეშმაკი ხატაურა უცებ წამოხტა და ქუცნას შეუტია. ახლა ქუცნა გადაგორდა, დაწვა გულაღმა, წინა ფეხები საწყლად დაიკრიფა მკერდზე, თითქოს ძალიან შეეშინდაო ხატაურასი, რომელიც თათს ცხვირზე უთათუნებდა:

— შე მხდალო ქუცნა, კუდით ვის მიათრევდიო!

თინიკო უკვე აღარ ტიროდა, მეტი სიხარულით სულ ხტოდა, ხარხარებდა:

ხა-ხა-ხა-ხა! ჩემი ფისო
არ მომკვდარა, ისევ ცოცხლობს!
როგორ უნდათ, ერთმანეთი
სიყვარულით გადაკოცნონ!

ამასობაში ქუცნაც წამოხტა და ორივენი სახლისაკენ გაიქცნენ. ისინი პირებით ერთმანეთს ეალერსებოდნენ, თითქოს მეტი სიყვარულით ხატაურა ქუცნას ჰკოცნიდა, ქუცნა—ხატაურას, ხოლო გახარებული თინიკო თავისთვის მღეროდა:

ხა-ხა-ხა-ხა! ასე უნდა,
მეგობრობაც ამას ჰქვია!
ქუცნამ — ფისო, ფისომ ქუცნა,
შეხეთ, როგორ წააქცია!

მე რომ ხშირად ვბრაზობ ხოლმე,
ცრემლი მირწყავს თვალის უპეს,
ამის შემდეგ ჩემს და-ძმებთან
არასოდეს წავიჩხუბებ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კურკა

ლევ ტოლსტოი

ერედამ ქლიავი იყიდა და უნდოდა ბავშვებისათვის მიეცა ნასადილევს. ქლიავები თეფშზე ეწყო. ვანიას არასოდეს არ ეჭამა ქლიავი და სულ ყნოსავდა მათ. მას მეტისმეტად მოსწონდა ისინი, ძალიან უნდოდა შეეჭამა. ის სულ უტრიალებდა მათ. როდესაც ოთახში არავინ იყო, ვერ მოითმინა, სტაცა ხელი ერთ ქლიავს და შეჭამა. სადილის წინ დედამ დაითვალა ქლიავები და ხედავს, ერთი აკლია. მან მამას უთხრა.

სადილზე მამამ თქვა:

— ბავშვებო, რომელიმეს ხომ არ შეგიჭამიათ ერთი ქლიავი?

ყველამ თქვა:

— არა!

ვანია კიბოსავით გაწითლდა და იმანაც თქვა:

— არა, მე არ შემიჭამია.

მაშინ მამამ თქვა:

— რომელიღაც თქვენგანმა რომ შეჭამა, ეს ცხადია; მაგრამ უბედურება ეს კი არ არის, უბედურება ის არის, რომ ქლიავს კურკა აქვს და ვინც არ იცის, როგორ უნდა ჭამოს, და კურკას გადაყლაპავს, ერთი დღის შემდეგ მოკვდება. მე ამისი მეშინია.

ვანია გაფითრდა და თქვა:

— არა, კურკა ფანჯრის იქით გადავაგდე.

ყველამ გაიცინა, ვანია კი ატირდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცანცალა და ხტუნია

დავით შამათავა
(ზღაპარი)

ოიდსა და გაუვალ ტყეში თავისი მოხერხებით განთქმული იყო ცანცალა კურდღელი. ერთ თოვლიან ღამეს საშინელმა ჩხავილმა შეძრა დაბური ტყე. ბებერი კურდღელი მიხვდა, რომელიღაცა საბრალო ბაჭია დაეჭირა ბოროტ მგელს. კურდღლები შეგროვდნენ ნაძვის ხის ქვეშ. ცანცალა კურდღელმა თქვა:

— მეგობრებო, წავალ და ბედს ვცდი, ეგებ ვიხსნა განსაცდელისაგან ჩვენი მოძმე, მხოლოდ რომელიმე თქვენთაგანი უნდა წამყვეს თან, ეს აუცილებლად საჭიროა!

ყველა შიშმა მოიცვა. ამ დროს წამოხტა ერთი ხტუნია ბაჭია, რომლის მეტი დედამისს არა გააჩნდა რა. მან თქვა:

— თანახმა ვარ, მე წავყვები ცანცალას!

დედა-კურდღელს ცრემლები მოადგა თვალებზე.

— შვილო, ხომ იცი, შენი უმცროსი ძმა, კომბოსტოპარია, უგზოუკვლოდ დაიკარგა ამ ორი დღის წინ. დედა გენაცვალოს, ნუ წახვალ, შენს მეტი ნუგეში მე არა გამაჩნია რა!

— კარგი, დედა! მაგრამ იმ საცოდავს, მგელს რომ ჩავარდნია, ხომ ჰყავს ჩემსავით დედა და შეიძლება ის ბაჭიაც დედისერთა იყოს! დედამისიც ხომ იტირებს, დედილო!

რა გაეწყობოდა, დედა-კურდღელი გაჩუმდა. ცანცალა და ხტუნია გაუდგნენ გზას მგლის ბუნაგისაკენ. სოროსთან ცანცალამ მორთო ჩხავილი. მგელმა პირი უშვა ბაჭიას, გარეთ გამოვარდა და უნდა სცემოდა ცანცალას. ცანცალამ კი არ დაახანა და სხაპასხუპით მოახსენა:

— ბატონო მგელო, გორაკის ქვემოთ მწყემსებს ფარეხ გარეთ მსუქანი ვერძი დარჩენიათ, მათი ჯავრი მჭირს: ჩემი ძმა მწყემსებმა მოკლეს შარშან. გთხოვ წამოხვიდე და შეჭამო ვერძი!

ღორმუცელამ დაიღრიალა:

— ცანცალა კურდღელო, შენი ეშმაკობა ჩვენს ტყეში განთქმულია; თუ მომატყუე, იცოდე, შეგჭამ!

— არა, ბატონო მგელო, მე ჩემი ამხანაგი მოგიყვანე მძევლად!

მსუნაგმა მგელმა ხტუნიას გადახედა, გაიფიქრა: ამას სოროში დავამწყვდევ ბაჭიასთან ერთად და თუ ცანცალამ მომატყუა, სამივეს ერთად შევჭამო.

ხტუნია სოროში შეაგდო, კარი გამოიხურა და ცანცალას გაჰყვა.

ბევრი იარეს თუ ცოტა, მიადგნენ ფარეხს. ცანცალამ კარი ანიშნა მგელს, თვითონ კი ჩხავილი მორთო. ყურები

ცქრიტეს მწყემსის ძაღლებმა, გამოეკიდნენ მგელს და თოვლში მოგუდეს ლორმუცელა.

ცანცალამ კი თავს უშველა. ბევრი ირბინა თუ ცოტა, მიადგა მგლის სოროს, გააღო კარი და გაათავისუფლა ხტუნია და საცოდავი ბაჭია.

ტყის პირას, დაბრუნების დროს, მათ შემოეგებნენ კურდღლები. ცანცალა ამაყად მოაბიჯებდა თოვლში. ხტუნია მივარდა საყვარელ დედას და უთხრა:

— დამშვიდდი, დედა, რა გატირებს?! ჩემი ძმა კომბოსტოპარია, შენ რომ დაკარგული გეგონა, თურმე იმ საძაგელ მგელს ჩავარდნია ხელში!

დედა-კურდღელი სიხარულით ტიროდა და ეხვეოდა თავის შვილებს.

მოხერხებულ ცანცალა კურდღელს ყველა ტაშს უკრავდა. საღამოზე კურდღლებმა მოზიდეს ნაძვის ქვეშ დიდძალი კომბოსტო, სტაფილო, ათასი რამ სანოვაგე და დილამდე არ შეწყვეტილა მხიარული ცეკვა-თამაში.

თედოს ცხენი

ვანო მათიაშვილი

აუსრულდა ნატვრა თედოს,
დაიბადა ლურჯი კვიცი.
როგორ გაზრდის, როგორ მორთავს,
სხვას არ ჰკითხავს, თვითონ იცის.

ამბობს: ყელზე ზარს შევაბამ,
სპილენძისას, წითელს, ლამაზს,
გავახარებ დედას, მამას,
მომიწონებს ყველა ამ აზრს.

სახელად ხომ, რა თქმა უნდა,
ლურჯია და ვარქმევ „ლურჯას“,
ორი კბილი უკვე მოსდის,
ბალახს რომ ჭამს, მაშინ უჩანს.

ფაფარს კოხტად დავუვარცხნი,
შევასწავლი სირბილს, ხტომას,
წყალში ცურვას დიდ მანძილზე
და ორ ფეხზე დიდხანს დგომას.

სილამაზით ჩემი ცხენის
შესადარ ცხენს ვერვინ ნახავს,
უნაგირსაც რომ დავადგამ
მოვერცხლილს და სულმთლად ახალს–

შევჯდები და წითელ ჯარში
წავალ ქვეყნის დასაცავად,
არ დავინდობ გაიძვერებს,
ვინც უყურებს საზღვრებს ავად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ღეჭავა

ჯემალმა ბევრი ტყუილი იცოდა. ზოგჯერ სრულიად არნახულს და არგაგონილს მოჩმახავდა. მშობლები ხშირად ტუქსავდნენ ამისათვის, მაგრამ ჯემალი თავისას არ იშლიდა.

ერთხელ ჯემალი მამამ მიიხმო, დაარიგა, რომ ტყუილის თქმა ცუდი თვისებაა, და ბოლოს დაჰპირდა: თუ ტყუილის თქმას გადაეჩვევი, ველოსიპედს გიყიდიო.

გავიდა დრო. ჯემალს ცვლილება დაეტყო, მამის დარიგებამ მასზე იმოქმედა და სრულიად გადაეჩვია ტყუილის თქმას.

მაგრამ მამამ რატომღაც მიივიწყა დაპირება, ჯემალს ველოსიპედი არ უყიდა. პატარა ჯემალს კი მუდამ ახსოვდა მამის დაპირება და სულ ველოსიპედზე ოცნებობდა.

ერთხელ, ბეკეკასთან ნაჭიდავებმა, თმაბურდულმა და ლოყებშეწითლებულმა ჯემალმა სახლში შეირბინა და პირდაპირ მამას მიმართა:

— მამილო, სტუმარია ჭიშკართან.

მამა გარეთ გამოვიდა, ჭიშკრისაკენ გაიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა.

— სად არის, ბიჭო, სტუმარი?

— აი იქ, ვერა ხედავ?

მამამ გულდასმით დაათვალიერა. იქაურობა, მაგრამ მაინც ვერავინ დაინახა.

— სად არის, ბიჭო, ვინ არის? — ისევ მიუბრუნდა ბავშვს.

— როგორ არა, მამა, შენს ნაყიდ ველოსიპედზე ზის და ისე მოდის, აი, — და თითი გაიშვირა ჭიშკრისაკენ, — ვერა ხედავ?!

მამას მოაგონდა თავისი დაპირება და უსიტყვოდ შევიდა სახლში.

მეორე დღეს მამამ მშვენიერი პატარა ველოსიპედი მოუტანა ჯემალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილა კბილი

კარლო არველაძე

რად ტიროდა გუშინ ლილი?
რად ნამავდა ცრემლი თვალებს?
არ უყიდეს ეგებ ტკბილი,
არც კამფეტი მოუტანეს?

არა, ადარ მისდის გული
ტკბილეულზე ახლა გოგოს...
ო, ის დილა მოშსამული,
ნეტავ, არვინ მოაგონოს!

დილიდანვე სტეხდა კბილი,
თითქოს შიგნით ცეცხლი ენთო,
უმატებდა ვოგო ტირილს:
— სპირტი არვინ ჩამაწვეთოს!

ცახცახებდა ვერხვზე უფრო
და უშწეოდ შლიდა ხელებს;
ასე ხდება, თავის უფროსს
როცა ბავშვი არ უჯერებს.

არიგებდა სახლში ყველა:
— ეს კამფეტი გეყოს, კმარა!
— შაქარს ნუ ჭამ, ცუგრუმელავ!
ან: „მურაბას ნუ იპარავ!“

არ სჯეროდა მათი გოგოს,
იქცეოდა ნება-ნება...
გაკვეთილად აგონდება
ჭიან კბილის ამოღება.

ახლა დადის ამაურად,
გაუგონარს კიცხავს, ქოლავს,
ემუქრება ფისოს, მურას
ყველასათვის გასაგონად:

— დავწერ, კედელს მივაკერებ:
„აქ ექიმი ცხოვრობს ლილი“.
დედას ვინც არ დაუჯერებს,
ამოვაძრო უნდა კბილი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არწივო, არწივო, მასწავლე ფრენა! — შეევედრა მელა არწივს.

— ფრთები არა გაქვს და ჩამოვარდები, — უპასუხა არწივმა.

— არა, არ ჩამოვარდები, არა! შენ სულ მაღლა ამიყვანე! — არ ეშვებოდა მელა.

არწივმა ფრთხილად ჩაავლო კლანჭები და სულ მაღლა, მაღლა აიყვანა ჰაერში.

— აჰა, გაფრინდი, — უთხრა და კლანჭები გაშალა.

მელა, რასაკვირველია, ძირს ჩამოვარდა.

არწივს უნდოდა კვლავ აეყვანა ჰაერში, მაგრამ მელა მკვდარი დახვდა.

— რა გატირებს, მიტრო, იტკინე რამე?

— საძაგელი მაგიდა! შეხე, რა მიყო საძაგელმა, დამეჯახა და კოპი დამაჯდა!

მიტრომ უჩვენა მამას შუბლი, სადაც ვეებერთელა გალურჯებული კოპი იჯდა.

— ბიჭო, მაგიდა დაგეჯახა? — ღიმილით ჰკითხა მამამ.

— ჰო! მე მაგიდის ქვეშ შევძვერი, ბურთი უნდა გამომეღო, ის კი მომეჯახა და აი კოპი ამომივიდა.

მამამ გადაიხარხარა და უთხრა:

— მიტრო, რაშიც შენ ხარ დამნაშავე ის სხვას არ უნდა გადააბრალო. აბა, რას ერჩი მაგიდას, მე ხომ ვიცი, რომ ის არ დაგეჯახებოდა.

მიტროს გაეცინა და პატარა ხელები მოუცაცუნა მამას ლოყებზე.

შარადა

ხუთჯერ ოცი შეაბრუნე,
თავში ასო მოაკელი,
დაუმატე სათვალავად,
რამდენ თითს ზრდის ორივ ხელი...
მთელი სიტყვა გენატრება,
მის შეძენას, ვიცი, ელი.

ეროვ. ბიბლ. ბიბ. ნ.
ხელოვნ.
ბიბლიოთეკა

10977
ეროვნული
ბიბლიოთეკა
239

საგაზაფხულო

შორით მიფრენს თეთრი გედი,
წყარო ჰკოცნის პიტალოს,
სურს ამბავი მაღალ ქედის
ბარში ჩამოიტანოს.

ნისლი ფარავს ხრამებს, ხევებს...
წითელ ვარდის ყელებით,
როგორც ტანი კალმახების,
მოწინწკლულან ველები.
შორს მირეკავს მწყემსი ნახირს,
მთები მოჩარდახულან,
რძისფერ ნისლის ყაბალახი
კავკასიონს ახურავს.
ამ პიტალოს, მძლეს და მაღალს,
გული ლხენით ევსება,
მთის კალთებზე სტვენენ ლაღად
ახალგაზრდა მწყემსები.
ლომგულების მუზარადებს, —
ცად აზიდულ მწვერვალებს, —
გაზაფხულის თოვლი ადევს
და მზის სხივზე ელვარებს.
შეფენილან ცხვრები მთაზე,
ცაზეც თეთრი ცხვრებია,
ასხივოსნებს დღის სინაზე
კავკასს ფართომხრებიანს.
შორით მიფრენს თეთრი გედი,
წყარო ჰკოცნის პიტალოს,
სურს ამბავი მაღალ ქედის
ბარში ჩამოიტანოს.

თბილისის მე-14 სკ. მე-6კლ. მოწ. **რეზო თაბუკაშვილი**

სტამბა „ზარია ვოსტოკა“. თბილისი. რუსთაველის პრ., № 36. Тип. „Заря Востока“. Тбилиси, пр Руставели, 36